საქართველოს პარლამენტი

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ნოემბრის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
დეკემბერი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 22,894.4 მლნ ლარი	წლიური გეგმის 93.2%
გადასახდელები - 22,549.3 მლნ ლარი	წლიური გეგმის 90.1%

ნაშთის ცვლილება 345.1 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,989.4 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -1,350.9 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 22,894.4 მლნ ლარს, წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 93.2%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 2,717.2 მლნ ლარით (13.5%-ით) აღემატება (ძირითადად, შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2024 წლის 11 თვეში, **გადასახდელები** 22,549.3 მლნ ლარს, წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 90.1%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 11 თვის მაჩვენებელს 2,928.7 მლნ ლარით (14.9%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, წლიური გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (94.4%), არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები (შესაბამისად, 18.3%-იანი და 3.4%-იანი) გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (83.4%).

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, წლიური გეგმის მიმართ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების მაჩვენებლები კარგი შესრულებით გამოირჩევა (შესაბამისად, 91.9% და 85.6%), ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების მუხლებით გადასახდელები შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (შესაბამისად, 71.7% და 82.8%).





სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,577.3 მლნ ლარს გაუტოლდა. 11 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 345.1 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 დეკემბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,922.4 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო,** 11 თვეში, 1,989.4 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -1,350.9 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების სახით იანვარ-ნოემბერში მობილიზებულია 18,057.8 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 94.5%-ს შეადგენს. გადასახადების სახეების მიხედვით წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლები 83.7%-103.1%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. იმპორტის გადასახადი - ყველაზე დაბალი შესრულების დონით, ხოლო მოგების გადასახადი გადაჭარბებით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, 2024 წელს დაგეგმილია 166.6 მლნ ლარი, 11 თვეში კი მიღებულია 72.1 მლნ ლარი. 2023 წელთან შედარებით, გადასახადები გაზრდილია 2,733.5 მლნ ლარით (17.8%-ით), ძირითადად, დღგ-ის, საშემოსავლო და მოგების გადასახადების, შესაბამისად, 10.6%-იანი, 19.0%-იანი და 52.6%-იანი მატების გავლენით.



ხარჯების მაჩვენებელმა 11 თვეში 17,574.4 მლნ ლარი, წლიური გეგმის 91.9% შეადგინა. ხარჯების სახეების მიხედვით წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, სოციალური უზრუნველყოფისა და სუბსიდიების ხარჯებს შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს (შესაბამისად, 94.8% და 93.0%). ყველა დანარჩენი სახის ხარჯი კარგი შესრულებით ხასიათდება: გრანტები წლიური გეგმის 91.7%-ს შეადგენს, პროცენტი - 91.5%-ს, სხვა ხარჯები - 89.6%-ს, შრომის ანაზღაურება - 89.2%-ს და საქონელი და მომსახურება - 88.1%-ს. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 2,541.7 მლნ ლარით (16.9%-ით) გაზრდილია, ყველა სახის ხარჯის მატების გავლენით (მ.შ. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაზრდილია 873.9 მლნ ლარით).



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2024 წლის 11 თვე / 2023 წლის 11 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	**20,177.3**	**24,569.5**	**22,894.4**	**93.2%**	**2,717.2**	**13.5%**
შემოსავლები	**16,870.2**	**20,731.0**	**19,563.8**	**94.4%**	**2,693.6**	**16.0%**
გადასახადები	15,324.3	19,115.0	18,057.8	94.5%	2,733.5	17.8%
საშემოსავლო გადასახადი	5,090.3	6,345.1	6,055.2	95.4%	964.9	19.0%
მოგების გადასახადი	1,818.0	2,690.0	2,773.8	103.1%	955.8	52.6%
დღგ	6,200.9	7,388.3	6,858.1	92.8%	657.2	10.6%
აქციზი	2,047.9	2,375.0	2,173.0	91.5%	125.1	6.1%
იმპორტის გადასახადი	140.5	150.0	125.6	83.7%	-14.9	-10.6%
სხვა გადასახადები	26.7	166.6	72.1	43.3%	45.4	169.8%
გრანტები	263.9	266.0	266.5	100.2%	2.6	1.0%
სხვა შემოსავლები	1,282.0	1,350.0	1,239.5	91.8%	-42.5	-3.3%
არაფინანსური აქტივების კლება	**105.7**	**200.0**	**236.7**	**118.3%**	**131.0**	**124.0%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**264.0**	**300.0**	**310.2**	**103.4%**	**46.2**	**17.5%**
ვალდებულებების ზრდა	**2,937.4**	**3,338.5**	**2,783.7**	**83.4%**	**-153.7**	**-5.2%**
საგარეო	1,659.3	1,838.5	1,493.7	81.2%	-165.7	-10.0%
საშინაო	1,278.1	1,500.0	1,290.1	86.0%	12.0	0.9%
გადასახდელები	**19,620.6**	**25,030.4**	**22,549.3**	**90.1%**	**2,928.7**	**14.9%**
ხარჯები	**15,032.7**	**19,120.9**	**17,574.4**	**91.9%**	**2,541.7**	**16.9%**
შრომის ანაზღაურება	1,929.8	2,577.3	2,298.9	89.2%	369.1	19.1%
საქონელი და მომსახურება	1,859.8	2,232.0	1,966.3	88.1%	106.5	5.7%
პროცენტი	1,148.8	1,540.0	1,408.5	91.5%	259.7	22.6%
სუბსიდიები	849.9	1,044.9	971.5	93.0%	121.6	14.3%
გრანტები	1,064.1	1,513.0	1,388.1	91.7%	324.0	30.5%
სოციალური უზრუნველყოფა	6,210.5	7,470.4	7,084.3	94.8%	873.9	14.1%
სხვა ხარჯები	1,969.9	2,743.2	2,456.8	89.6%	486.9	24.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**3,354.4**	**4,180.6**	**3,577.0**	**85.6%**	**222.6**	**6.6%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**238.6**	**305.6**	**219.0**	**71.7%**	**-19.6**	**-8.2%**
ვალდებულებების კლება	**994.9**	**1,423.4**	**1,179.0**	**82.8%**	**184.0**	**18.5%**
საგარეო	960.3	1,380.6	1,144.3	82.9%	184.0	19.2%
საშინაო	34.6	42.7	34.7	81.2%	0.1	0.2%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**556.6**	**-460.9**	**345.1**			

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2024 წლის 11 თვე / 2023 წლის 11 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	**16,870.2**	**20,731.0**	**19,563.8**	**94.4%**	**2,693.6**	**16.0%**
გადასახადები	15,324.3	19,115.0	18,057.8	94.5%	2,733.5	17.8%
გრანტები	263.9	266.0	266.5	100.2%	2.6	1.0%
სხვა შემოსავლები	1,282.0	1,350.0	1,239.5	91.8%	-42.5	-3.3%
ხარჯები	**15,032.7**	**19,120.9**	**17,574.4**	**91.9%**	**2,541.7**	**16.9%**
შრომის ანაზღაურება	1,929.8	2,577.3	2,298.9	89.2%	369.1	19.1%
საქონელი და მომსახურება	1,859.8	2,232.0	1,966.3	88.1%	106.5	5.7%
პროცენტი	1,148.8	1,540.0	1,408.5	91.5%	259.7	22.6%
სუბსიდიები	849.9	1,044.9	971.5	93.0%	121.6	14.3%
გრანტები	1,064.1	1,513.0	1,388.1	91.7%	324.0	30.5%
სოციალური უზრუნველყოფა	6,210.5	7,470.4	7,084.3	94.8%	873.9	14.1%
სხვა ხარჯები	1,969.9	2,743.2	2,456.8	89.6%	486.9	24.7%
საოპერაციო სალდო	**1,837.5**	**1,610.1**	**1,989.4**	**123.6%**	**151.9**	**8.3%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**3,248.8**	**3,980.6**	**3,340.3**	**83.9%**	**91.6**	**2.8%**
ზრდა	3,354.4	4,180.6	3,577.0	85.6%	222.6	6.6%
კლება	105.7	200.0	236.7	118.3%	131.0	124.0%
მთლიანი სალდო	**-1,411.2**	**-2,370.5**	**-1,350.9**	**57.0%**	**60.3**	**-4.3%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**531.3**	**-455.4**	**253.9**	**-55.7%**	**-277.4**	**-52.2%**
ზრდა	**795.2**	**305.6**	**564.1**	**184.6%**	**-231.2**	**-29.1%**
ვალუტა და დეპოზიტები	556.6	0.0	345.1		-211.5	-38.0%
სესხები	237.1	305.6	215.7	70.6%	-21.4	-9.0%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.5	0.0	3.3		1.7	114.7%
კლება	**264.0**	**760.9**	**310.2**	**40.8%**	**46.2**	**17.5%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	0.0	0.0%	0.0	
სესხები	262.4	300.0	310.2	103.4%	47.8	18.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.6	0.0	0.0		-1.6	-100.0%
ვალდებულებების ცვლილება	**1,942.5**	**1,915.1**	**1,604.8**	**83.8%**	**-337.7**	**-17.4%**
ზრდა	**2,937.4**	**3,338.5**	**2,783.7**	**83.4%**	**-153.7**	**-5.2%**
საშინაო	1,278.1	1,500.0	1,290.1	86.0%	12.0	0.9%
საგარეო	1,659.3	1,838.5	1,493.7	81.2%	-165.7	-10.0%
კლება	**994.9**	**1,423.4**	**1,179.0**	**82.8%**	**184.0**	**18.5%**
საშინაო	34.6	42.7	34.7	81.2%	0.1	0.2%
საგარეო	960.3	1,380.6	1,144.3	82.9%	184.0	19.2%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**			

საქართველოს პარლამენტი